საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ქ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 021/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ჯ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ჯ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 1 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ქ.-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ მ. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 30 აპრილს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორის ინტერესები წარმოადგინეს გ. ი.-მ და თ. ი.-მ.

1.2 საჩივარში აღნიშნულია, რომ 2011 წელს ქ. ქ.-ს სურდა თბილისში ბინის შეძენა. რა დროსაც ახლობლის დახმარებით გაიცნო მ. ჯ., რომელმაც განუცხადა, რომ მის ყოფილ კლიენტებს თ. და თ. ც.-ებს ჰქონდათ სესხთან დაკავშირებული პრობლემები მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან და სესხის დაფარვის მიზნით სურვილი ჰქონდათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან არსებული სესხი გადაეფარათ სხვა სასესხო ურთიერთობით. ამასთან,

სესხის ვადად განისაზღვრებოდა 3 თვე, სესხი იქნებოდა სარგებლიანი და ადვოკატის განმარტებით ქ. ქ.-ს შესაძლებლობა ექნებოდა სესხზე დარიცხული პროცენტებით მიეღო სარგებელი და გაეკეთებინა „კარგი საქმე“ თ. და თ. ც-ებს დასახმარებლად, ხოლო სამართლებრივ საკითხებს მ. ჯ. თავად მოაგვარებდა. აღნიშნულ პირობაზე ქ. ქ. დათანხმდა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სასარგებლოდ და ც.-ების ვალის დასაფარად მ. ჯ.-სთან და ორ პირთან ერთად გადაიხადა 74 826 (სამოცდათოთხმეტი ათას რვაას ოცდაექვსი) ლარი, საიდანაც 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) დოლარის ექვივალენტი ლარი ქ. ქ.-ის მიერ იქნა გადახდილი. რის შემდეგაც, თ. და თ. ც.-ების ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკარებად აღირიცხნენ მ. ჯ. და ქ. ქ..

1.3 ქ. ქ. საჩივარში ასევე საუბრობს მ. ჯ.-სთან არსებულ ურთიერთობაზე, რომელიც გამომდინარეობდა სესხისა და სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონებასთან დაკავშირებული საკითხებიდან. კერძოდ, ქ. ქ. აღნიშნავს, რომ თ. და თ. ც.-ებთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან ვერ იღებდა სარგებელს, ხოლო მისგან განსხვავებით მ. ჯ. იღებდა სარგებელს. ასევე, მას შემდეგ რაც იპოთეკით უზრუნველყოფილი ქონება გაიყიდა, აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით წარმოიშვა რიგი პრობლემები, თავდაპირველად ვერ მოხდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ამასთან, მასში მცხოვრები ადამიანები ხელს უშლიდნენ ქონების გაყიდვას. ქ. ქ. ვერანაირ სარგებელს ვერ იღებდა ქონებიდან, ხოლო საკრედიტო დაწესებულებებთან არსებული მისი ვალდებულებები კი იზრდებოდა.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2014 წელს, მ. ჯ.-მ მისი მოთხოვნითა და მის მიერ გადაცემული თანხით, მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომ მოეხდინათ სადავო საცხოვრებელი სახლიდან და ავტოფარეხიდან იქ მცხოვრებ პირთა გამოსახლება. თავის მხრივ, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ხდებოდა გამოსახლების პროცესის გაჭიანურება.

1.5 ქ. ქ.-ის განმარტებით, ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე შეექმნა რთული ფინანსური პრობლემები, ხოლო მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესების მიზეზი გახდა მ. ჯ.. ადვოკატმა მოიპოვა საჩივრის ავტორის ნდობა, ვინაიდან განაცხადა, რომ იყო ადვოკატი და ყველა საქმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემას თავად წარუძღვებოდა. მან როგორც ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა სამართლებრივ პროცესებში, მაგრამ მოქმედებითა თუ უმოქმედობით ხელოვნურად შექმნა პრობლემები, რის გამოც საჩივრის ავტორმა დაკარგა ქონება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ჯ.-მ 2018 წლის 22 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 7 ივნისს გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე.

2.2 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს. ადვოკატის განმარტებით, მასთან, როგორც ადვოკატსა და მოქალაქე - ქ. ქ.-ს შორის არასოდეს ყოფილა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული, ამასთან ქ. ქ.-ს მისთვის რწმუნებულებაც არ გაუფორმებია. შესაბამისად, მას, როგორც ადვოკატს არც ერთ ორგანოში არ წარმოუდგენია და უწარმოებია მოქალაქე - ქ. ქ.-ის ინტერესები და პირადი საქმეები, შესაბამისად ის არ წარმოადგენდა ქ. ქ.-ის ადვოკატს, ხოლო ქ. ქ. კი მის კლიენტს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ქ. ქ.-ის პრეტენზიები მის მიმართ არსებობს, როგორც მოქალაქის და არა ადვოკატის მიმართ. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე ასევე

განმარტა, რომ ქ. ქ.-სთან ურთიერთობის დაწყებისას, მან იცოდა, რომ მ. ჯ. საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა. თუმცა მათ შორის არსებული ურთიერთობა შემოიფარგლებოდა სესთან და სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების ფარგლებში. კერძოდ, საკრედიტო ორგანოსთვის, თ. და თ. ც-ებს სესხის დაფარვის მიზნით, როგორც ქ. ქ.-ის, ასევე მ. ჯ.-ის მიერ გადახდილი იქნა თანხა. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა თ. და თ. ც-ებს საცხოვრებელი სახლი. შეთანხმების მიხედვით, მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო იპოთეკით უზრუნველყოფილი ქონებიდან, სესხის დაფარვისას გადახდილი თანხის პროპორციულად. ადვოკატმა აღნიშნა, რომ თ. და თ. ც.-ებთან ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემების მოგვარებას ადვოკატი თავისი ინტერესების განსახორციელებლად თავად აწარმოებდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან მასა და საჩივრის ავტორს შორის არ ყოფილა ადვოკატს და კლიენტს შორის მსგავსი ურთიერთობა, ქ. ქ.-ის მიერ წარმოდგენილი საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ჯ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ქ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 1 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2011-2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ჯ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ვალდებული იყო მოეგვარებინა სამართლებრივი საკითხები, რომელიც გამომდინარეობდა ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებული ურთიერთობიდან. მათ შორის არსებული შეთანხმების მიხედვით მ. ჯ.-მ და ქ. ქ.-მ გასცეს სესხი, რომლისთვისაც უზრუნველყოფილი იყო ქონება, სესხიდან მიღებული სარგებელი უნდა მიეღო თოთოეულ მათგანს. ურთიერთობის პერიოდში მსესხებლები არ იხდიდნენ სესხად მიღებულ თანხასა და მასზე დარიცხულ პროცენტებს, ამასთან ისინი ხელს უშლიდნენ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, ამ პრობლემებმა და მათ მოუგვარებლობამ მნიშვნელოვანი, ფინანსური ზიანი მიაყენა საჩივრის ავტორს.

5.2 ადვოკატი, აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობაში ქ. ქ.-სთან ერთად მონაწილეობდა, როგორც ხელშეკრულების მონაწილე მხარე, ისინი იყვნენ გამსესხებლები და ორივე მათგანს უნდა მიეღო სესხზე დარიცხული სარგებელი. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით ურთიერთობა არ მოიცავდა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობას, მას არ ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ვალდებულება აღებული ქ. ქ.-ის მიმართ, ამასთან ის მხოლოდ თავისი ინტერესების დაცვის მიზნით მიმართავდა სხვადასხვა ორგანოს.

5.3 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია საერთო სასამართლოების მიერ გამოცემული დოკუმენტები, საიდანაც დგინდება, რომ ქ. ქ.-სა და მ. ჯ.-ს შორის არსებული ურთიერთობა არ მოიცავს კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობას, პირიქით ორივე მათგანი საქმის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ. კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების მიხედვით მ. ჯ. არის მოსარჩელე მხარე, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ქ. ქ. არ წარმოადგენს მხარეს; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის განჩინების მიხედვითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინების მიხედვით, ქ. ქ. და მ. ჯ. წარმოადგენენ მესამე პირებს.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება ქ. ქ.-სა და მ. ჯ.-ს შორის, როგორც კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის არსებობა. მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, რომ ქ. ქ. და მ. ჯ. შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების შინაარსზე, ეთიკის კომისიისათვის საკმარისი არ არის დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად.

5.5 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ა) ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის“. კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას. ქ. ქ.-ის მიერ საჩივარში მითითებული პრეტენზიები მიმართულია მ. ჯ.-ის მიმართ, რომელიც მათ შორის არსებული ურთიერთობის დროს არ მოქმედებდა ადვოკატის სახით. ადვოკატ მ. ჯ.-სა და ქ. ქ.-ს შორის არსებული ურთიერთობა არ უკავშირდებოდა, როგორც ადვოკატის მიერ, პროფესიული საქმიანობის განხორციელებას. ისინი გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით ერთობლივად მოქმედებდნენ, რისთვისაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდნენ გარკვეულ პირებთან. საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. ჯ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა, ხოლო ადვოკატ მ. ჯ.-ის მოქმედებების განხილვა, რომლითაც ქ. ქ.-ს მატერიალური ზიანი მიადგა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, ადვოკატ მ. ჯ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის ,,ა '' ქვეპუნქტით, მე-19, მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N092/17 ადვოკატ მ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/